**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №47**

**2022 წლის 27 მაისი**

**ქ. მარტვილი**

**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის**

**მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №5 დადგენილების 57-ე მუხლის თანახმად**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან, ერთი ოთახის 30 კვ.მ. ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი-მიხეილ ნაჭყებია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა